საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„ეკრანი“

„ეკრანი“ (სააქციო საზოგადოება), ტელევიზორების ქარხანა. ამ პროფილის ერთადერთი საწარმო სამხრ. კავკასიის რეგიონში. დაარსდა 1979 თბილისში, როგორც მოსკ. საწარმოო გაერთიანება „რუბინის" თბილ. ფილიალი „ზარია", 1984-იდან კი ამავე საწარმოო გაერთიანებაში შემავალი ქ-ნა გახდა (თბილისის ტელევიზორების ქარხანა „ეკრანი"). მისი რეორგანიზაციის შემდეგ 1993 ჩამოყალიბდა სააქციო საზ-ბა „ე." საწარმო მდებარეობდა ორთაჭალაში, ეკავა 1,5 *ჰა* ფართობი, ხოლო შენობა-ნაგებობებს – 15600 $მ^2$. უშვებდა შავ-თეთრსა და ფერად ტელევიზორებს, აგრეთვე აწყობდა (მცირე რაოდენობით) სხვადასხვა სახის აპარატურას (ვიდეოდა აუდიოტექნიკას, მტვერსასრუტებს, საკასო აპარატებს და სხვ.), ენერგოსისტემისათვის – ახ. ტიპის სხვადასხვა მოდიფიკაციის ელექტრულ მრიცხველებს. საჭირო მასალები და მაკომპლექტებელი ნაწილები შემოჰქონდათ ინგლისიდან, იტალიიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, პოლონეთიდან, ლიტვიდან და სხვა ქვეყნებიდან. „ე-ის" საწარმოო სიმძლავრე იყო 70000 ცალი ტელევიზორი წელიწადში. 1993 წლამდე პროდუქცია გაჰქონდათ არა მარტო სამხრ. კავკასიის რესპუბლიკებში, არამედ სხვა ქვეყნებშიც: რუსეთში, ყაზახეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში. 1995-იდან საწარმო მუშაობდა არასრული დატვირთვით, ხოლო 2005-იდან საერთოდ შეწყვიტა ფუნქციონირება.

ლ. აბრამიშვილი